საიამ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, [redacted] აქტების რეგისტრაციის შესახებ A საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-5 პუნქტის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანა.

გასაჩივრებულ ნორმის თანახმად, იმისთვის რომ საქართველოს მოქალაქე დაქორწინდეს უცხო ქვეყნის მოქალაქეზე მათ უნდა მიიღონ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ნებართვა. [redacted] ბაჟის შესახებ A საქართველოს კანონის თანახმად ამ ნებართვის მოპოვება 120 ლარი ღირს.

ამგვარი ფასიანი ნებართვის დაწესება არღვევს საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ ქორწინების თავისუფლებას. თავისუფლების არსი კი იმაში მდგომარეობს რომ ადამიანმა ადმინისტრაციული ორგანოს ან სხვა ადამიანებისგან დამოუკიდებლად უნდა გააკეთოს არჩევანი. ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გაზრდა ადამიანის ბუნებითი თავისუფლების რეალიზებისთვის ფასიანი ნებართვების დაწესების გზით ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის ფუნდამენტურ პრინციპებს.

[redacted] სასამართლოს შესახებ A საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, სარჩელი საკონსტიტუციო სასამართლომ მომდევნო 9 თვის განმავლობაში უნდა განიხილოს.